საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

საბანკო სექტორის მიმოხილვა (2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით)

www.sab.ge

საბანკო სექტორის მიმოხილვა (2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით)

2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები 63.2 მლნ ლარით, ანუ 0.3%-ით გაიზარდა და 23.4 მლრდ ლარი შეადგინა. საბანკო სექტორმა ივნისი 54.4 მლნ ლარის მოგებით დაასრულა. რაც შეეხება საკონვერსიო შემოსავლებს (სავალუტო კონვერტაციები), 2015 წლის იანვარ-ივნისში კომერციულმა ბანკებმა საკონვერსიო ოპერაციებში 45 მლნ ლარის მოგება ნახეს. ლარის კურსთან დაკავშირებულმა მოლოდინებმა და ფაქტობრივმა რყევებმა საკმაოდ არასტაბილური გარემო შექმნეს საკონვერსიო ოპერაციებისთვის და შესაბამისად ბანკებმა მარტი 3 მილიონ ლარიანი ზარალით დახურეს. თუმცა აპრილ-ივნისში შედარებით სტაბილურმა კურსმა, ასევე ტურისტული სეზონის დაწყებამ, რამაც განაპირობა უცხოური ვალუტის შემოდინება, ბანკებს შესაძლებლობა მისცა ზარალი აენაზღაურებინათ.

ბოლოს ერთი წლის განმავლობაში, პირველად კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელი შემცირდა და 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით 14.7 მლრდ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 33%-ით მეტია. მართალია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდა აღინიშნება, მაგრამ მაისთან შედარებით ივნისში პორტფელი 115.4 მლნ-ით არის შემცირებული, მაშინ როდესაც 2015 წლის მაისში აპრილთან შედარებით 19.5 მლნ-იანი ზრდა იყო. ბოლო ორი თვის განმავლობაში საკრედიტო აქტიურობის შესუსტება აღინიშნება, მაისში პორტფელის ძალიან მცირე ზრდა იყო, ხოლო ივნისში პორტფელი საერთოდ შემცირდა, ეს გარკვეულწილად მოსალოდნელიც იყო, რადგან სავალუტო პრობლემებმა გრძელვადიან პერიოდში დაკრედიტების შესუსტება გამოიწვია, ამას დაემატა ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთის ზრდაც, რაც პირდაპირ მოქმედებს დაკრედიტების შემცირებაზე. აღსანიშნავია, რომ პორტფელის შემცირება განპირობებულია უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების შემცირების ხარჯზე, რადგან ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 94.7 მლნ ლარით (1.8 %-ით) გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 210 მლნ ლარით (2.2 %-ით) შემცირდა.

სასესხო პორტფელის შემცირებასთან ერთად შემცირებულია ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა და 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით 321 მლნ ლარი შეადგინა. 2015 წელს თვეების მიხედვით თუ გადავხედავთ, ვნახავთ რომ ვადაგადაცილებული სესხების მოცულობის ზრდის მხრივ იანვარში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა - 17%, რაც შეეხება მომდევნო თვეების მაჩვენებლებს, თებერვალში 4%, მარტში და აპრილში 7%, მაისში 3%, ხოლო ივნისში, ამ წელს პირველად, ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა შემცირდა 11%-ით. ჯამურად 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა 30%-ით არის გაზრდილი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. თუმცა მთლიან პორტფელთან მიმართებაში კვლავ მხოლოდ 2%-ია.

საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2015 წლის პირველი ივლისისათვის 12.6 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 148 მლნ ლარით ანუ 1.2%-ით ნაკლებია 1 ივნისის არსებულ მაჩვენებელზე. ივნისში, წინა თვესთან შედარებით, ვადიანი დეპოზიტები 193.0 მლნ ლარით, ანუ 2.5 %-ით შემცირდა, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები 45.0 მლნ ლარით, ანუ 0.9 %-ით გაიზარდა. ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 5.2 % შეადგენა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 7.7%, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 4.5 %.

უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილმა 81.4%, ხოლო ევროს წილმა 15.6 % შეადგინა.

რაც შეეხება დოლარიზაციის მაჩვენებელს, ის ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება, რაც გამოიხატება იმაში, რომ დეპოზიტებში დოლარიზაციის მაჩვენებელი 65%-ის ნიშნულზეა, 1%-ით ნაკლებია

წინა თვესთან შედარებით. დაახლოებით იგივე მაჩვენებელია სესხების კუთხით, უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა ჯამურ პორტფელში 63%-ს შეადგენს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკურმა კრიზისმა და ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ გარკვეული პრობლემები საბანკო სექტორსაც შეუქმნა. მიუხედავად იმისა, რომ მცირედით გაზრდილია ბანკების მთლიანი აქტივები, შემცირებულია დეპოზიტების რაოდენობა, შემცირებულია სასესხო პორტფელი. ბევრი მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რომელიც განსაზღვრავს საბანკო სექტორის სტაბილურობას 1 ივლისის მდგომარეობით გაუარესებულია. თუ წინა წლებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ როგორც დეპოზიტების ასევე წმინდა აქტივების მოცულობა წლიდან წლამდე მზარდი ტრენდით ხასიათდებოდა, საყურადღებოა ასევე საკრედიტო პორტფელი, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში პირველად შემცირდა. მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძირითადი ინდიკატორების ზრდის ტემპი შენელებულია და ზოგ შემთხვევაში საერთოდ კლება შეინიშნება, რაც საბანკო სისტემის სტაბილურობას უქმნის საფრთხეს. სიტუაციის გაუარესება მრავალ ფაქტორზე შეიძლება იყოს დამოკიდებული, საიდანაც ყველაზე მნიშვნელოვანი სავალუტო კრიზისია. თუ წინა თვეებში მიუხედავად სავალუტო კრიზისისა ეს ინდიკატორები იზრდებოდა, საშუალო ვადიან პერიოდში ლარის გაუფასურებამ მაინც მოახდინა ზეგავლენა ეკონომიკურ მდგომარეობაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სექტორი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებული და სტაბილური ინდუსტრიაა, რომელმაც საკმაოდ ძლიერ კრიზისებს გაუძლო და შესაბამისად მიმდინარე ეტაპზე დაფიქსირებული პრობლემები საბანკო სექტორის სტაბილურობაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ვერ მოახდენს.

www.sab.ge